



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №8

2014 წლის 28 თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 15 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 15 ნოემბრის N97 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ამირან გიგინეიშვილი

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა

1. შედგენის თარიღი 28 თებერვალი 2014 წელი	2. შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი 233730139
3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	4. დაფინანსების წყარო ცენტრალური ბიუჯეტი
5. სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს შესაბამისად 1336577 ლარი	

№	დანაყოფის კოდი	დანაყოფის დასახელება	საგარეულო ლირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვის დაწყების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	45200000	სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	1271795	პტ	I II 2014	
2	71300000	საინჟინრო მომსახურებები	64782	გპტ	I 2014	

ხელმძღვანელი/უფლებამოსილი პირი

სამსახურის უფროსი



ამირან  
გიგინეიშვილი

მაია აფხაზავა